მოწვევა ინტერესის გამოსახატად
(განცხადებების წარმოდგენის ვადის გაგრძელება)

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი

სესხის # 3715-GEO

დავალების სახელწოდება: საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით)

საიდენტიფიკაციო # KUPR/CS/CQS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს/ორგანიზაციებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით).**

დავალების მიზანი: კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება რომ დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო კვლევა/ები, საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები და განსაზღვროს მასთან დაკავშირებული ინფორმატიული მასალების, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, იმ თემისთვის რომელიც მოქცეულია აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი - უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: საკონსულტაციო კომპანიას/ორგანიზაციას უნდა ქონდეს შემდგომი კვალიფიკაცია:

- სასურველია 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების კამპანიების ჩატარებაში ცალკეული თემების დონეზე;
- მინიმუმ 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება სოციალურ - ეკონომიკური კვლევების ველზე ჩატარებაში, სასურველია ტრანსპორტის სექტორში;

- მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების დადასტურებული გამოცდილება

;• შესაბამისი პერსონალის, მატერიალური ბაზის და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა კვლევების, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განსახორციელებლად;

- სპეციალიზირებული გამოცდილება კვლევის მონაცემთა ანალიზში, იმ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ამ კვლევაში იქნება გამოყენებული, კერძოდ: გამოკითხვები, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, და
- განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადების გამოცდილება.

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის გამოყენებით:

https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414

დაინტერესებულ კომპანიებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით **2023 წლის 10 აპრილამდე.**